ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცი"-ის სარევიზიო კომისიის

№ 3 სხდომის ოქმი

9 ნოემბერი 2010წ.

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის №3 სხდომა გაიმართა ქ. თბილისში, ბარნოვის 75 (0179) ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცი"-ის ოფისში. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

მაკა ჯაფარიძე - სხდომის მდივანი;
მარიამ კუბლაშვილი - წევრი, სხდომის თანათავმჯდომარე;
სხდომას არ ესწრებოდა წევრი - ლევან ჩხეიძე.
აკაკი ჩარგეიშვილი - კომისიის თავმჯდომარე;
სხდომას არ ესწრებოდა წევრი - დიტო ტორაძე.

დღის წესრიგი:

სარევიზიო კომისიის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა

სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებებისა და განხილული წინადადებების შესაბამისად მიღებული იქნა გადაწყვეტილება დადგენილების სახით:

I. მოქმედი კანონმდებლობისა და ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წესდებიდან გამომდინარე სარევიზიო კომისიის საქმიანობისათვის განისაზღვროს სამი ძირითადი კომპონენტი: 1) აღმასრულებელი საბჭოს და თავმჯდომარის ფუნქციონირების და მოქმედებების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და ასოციაციის საწესდებო მიზნებთან; 2) ასოციაციის საფინანსო-სამეურნეო და ადმინისტრაციული მდგომარეობისა და საქმიანობის კონტროლი; 3) სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მიწოდება ასოციაციის საერთო კრებისათვის;

II. ამ დადგენილების პირველი ნაწილის პირველი კომპონენტი (*აღმასრულებელი საბჭოს და თავმჯდომარის ფუნქციონირების და მოქმედებების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და ასოციაციის საწესდებო მიზნებთან*) სარევიზიო საქმიანობისათვის მოიცავს შემდეგ შინაარს:

- არის თუ არა შესაბამისობაში აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოქმედ კანონმდებლობასთან და ასოციაციის წესდებასთან;
- აღმასრულებელი საბჭოს სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით დასწრება;
- ხორციელდება თუ არა აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება;
- არის თუ არა შესაბამისობაში ასოციაციის თავმჯდომარის მოქმედებები მოქმედ კანონმდებლობასთან და ასოციაციის წესდებასთან და აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებებთან;
- ამ ნაწილში აღწერილი საქმიანობიდან გამომდინარე კონკრეტული დასკვნების (დადგენილებების) მომზადება და მათი ახახვა სარევიზიო კომისიის საერთო ანგარიშში.

III. ამ დადგენილების პირველი ნაწილის მეორე კომპონენტი (*ასოციაციის საფინანსო-სამეურნეო და ადმინისტრაციული მდგომარეობისა და საქმიანობის კონტროლი*) სარევიზიო საქმიანობისათვის მოიცავს შემდეგ შინაარს:

- ასოციაციის პოტენციური საოპერაციო და ფინანსური რისკების იდენტიფიცირება;
- ასოციაციის პოტენციური საოპერაციო და ფინანსურ რისკებთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემებისა და მექანიზმების ადექვატურობის ანალიზი და შეფასება;
- ასოციაციის საქმიანობის ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტაციის (სტრატეგია, საოპერაციო გეგმა, ბიუჯეტი, პროცედურები და ინსტრუქციები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, ხელშეკრულება ქვედანაყოფების დებულებები, ანგარიშები, ორგანიზაციის მიერ გაფორმებული კონტრაქტების და გარიგებები და სხვა დოკუმენტები) შემოწმება და კონტროლი, მათი არსებობის და მიზნობრივობის თვალსაზრისით;
- ასოციაციის საქმიანობაში გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვის კონტროლი;
- ფინანსური და მმართველობითი ანგარიშების განხილვა და შემოწმება;
- ბიუჯეტის შესრულების კონტროლი;
- ორგანიზაციის აქტივების მიზნობრივი გამოყენების კონტროლი;
- ანგარიშგების პროცესების უნიფიცირება და სტანდარტიზება;
- ასოციაციის წესდებიდან გამომდინარე დავალებების შესრულების კონტროლი;
- რეგიონალური წარმომადგენლობითი ოფისების საქმიანობის კონტროლი.

IV. ამ დადგენილების პირველი ნაწილის მესამე კომპონენტი (*სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მიწოდება ასოციაციის საერთო კრებისათვის*) სარევიზიო საქმიანობისათვის მოიცავს შემდეგ შინაარს:

- მასალების ერთიობლივად დამუშავებისა და დადგენილებების მომზადების მიზნით, გასვლითი სავალდებულო (მათ შორის რეგიონებში) სხდომების ორგანიზება;
- სარევიზიო კომისიის ცალკეული დადგენილებების გამოქვეყნება და ხელმისაწვდომობა ასოციაციის წევრებისათვის;
- განხორციელებული სპეციალური საკონტროლო-სარევიზიო შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე მიღებული დადგენილებების გამოსწორების (შესრულების) შესახებ ანგარიშის მომზადება და ასახვა წლიურ საერთო ანგარიშში.

V. ასოციაციის მორიგი საერთო კრებისათვის ანგარიშის წარდგენის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები:

- სავალდებულო ყოველწლიური აუდიტის საკონკურსო წესით მოწვევის მიზნით დავალების პირობების განსაზღვრა, ამასთან აუდიტის შემოწმებამ უნდა მოიცვას 2008 წლის დარჩენილი პერიოდი, 2009 წელი სრულად და 2010 წლის მიმდინარე პერიოდი;
- საანგარიშო პერიოდისათვის სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება.

VI. კომისია აღნიშნავს, განსაზღვრული სამუშაო კომპონენტების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მიზანშეწონილია სარევიზიო კომისიისათვის კოორდინატორის არსებობა, რომლის ფუნქციები შესაძლებელია განახორციელოს (შეითავსოს) ასოციაციის ადმინისტრაციაში დასაქმებულმა პირმა.

კომისიის თავმჯდომარე - აკაკი ნარგეიშვილი

სხდომის თანათავმჯდომარე - მარიამ კუბლაშვილი

სხდომის მდივანი - მაკა ჯაფარიძე